23.07.2013 №19

თბილისის საქალაქო სასამართლო

№3-0413/277035 22.07.2013 წელი

ბატონ სერგი კაპანაძეს

საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორს

ბატონო სერგი,

2013 წლის 19 ივლისს თქვენ განცხადებით (რეგ.№277035) მომართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვეთ საჯარო ინფორმაციის გაცემა. კერძოდ, მოითხოვეთ ინფორმაციის მოწოდება 2012 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში რამდენი საჩივარი იქნა შემოტანილი აუდიტის სამსახურის წინააღმდეგ, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა - საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი და რამდენი საჩივარი იქნა დაკმაყოფილებული.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებული სტატისტიკური მონაცემებით დადგენილი რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ განხილულ იქნა ორი ადმინისტრაციული საქმე. მათგან ერთ საქმეზე სასამართლოს მიერ მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა ნაწილობრივ, ხოლო მეორე საქმეზე სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების განმარტებას, მოგახსენებთ, რომ აღნიშნულის უფლება აქვს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადების საფუძველზე.

პატივისცემით,

ავთანდილ წამალაშვილი

სასამართლოს თავმჯდომარის
მიუროს უფროსი კონსულტანტი

საქართველო, ქ. თბილისი 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი, XII კილომეტრი; ტელეფონი/ფაქსი: (+995 32) 54-10-55; 54-10-56;
Georgia, Tbilisi 0131, David Aghmashenebeli Ave. XII km. Tel/Fax: (+995 32) 54-10-55; 54-10-56;
www.tcc.gov.ge